საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№ 01-04/103 30.11. **2021 წ.**

MES 1 21 0001281452

30/11/2021

სსიპ-აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესიული მომზადების პროგრამებზე მიღების გამოცხადების, აპლიკანტთა რეგისტრაციის ვადების დადგენის, აპლიკანტთა შერჩევის თარიღის განსაზღვრის, ჩარიცხვის უფლებამოპოვებული აპლიკანტების მიერ საბუთების წარმოდგენის ვადის განსაზღვრის, ჩარიცხვის თარიღის, პროფესიული მომზადების/გადამზადების ელექტრონულ პორტალზე პროგრამებზე ჩარიცხულ მსმენელთა რეგისტრაციის ვადებისა და სწავლის დაწყების თარიღის განსაზღვრის შესახებ

"პროფესიული მომზადების პროგრამაზე და პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 10.04.2019 წლის №71/ნ ბრძანებისა და პროფესიული მომზადების/გადამზადების ელექტრონულ პორტალზე პროფესიული მომზადების პროგრამების დარეგისტრირების შესახებ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 22.11.2021 წლის №1254619, 1254593, 1254675 ბრძანებების გათვალისწინებით, ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს მიღება პროფესიული მომზადების პროგრამებზე:

ა. "მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის ტექნიკოსი"

ბ. "მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების მდგომარეობის დიაგნოსტიკა"

გ. "საავტომობილო სატვირთო გადაზიდვების ორგანიზება"

2. პროფესიული მომზადების პროგრამებზე აპლიკანტთა განათლების მართვის ელექტრონულ სისტემაში (VET.EMIS.GE) რეგისტრაციის ვადები განისაზღვროს: 2021 წლის 30 ნოემბრიდან 06 დეკემბრის ჩათვლით;

3. აპლიკანტთა შერჩევის თარიღი განისაზღვროს: 2021 წლის 8 დეკემბერი;

4. ჩარიცხვის უფლებამოპოვებული აპლიკანტების მიერ საბუთების წარმოსადგენი ვადა დადგინდეს: 2021 წლის 8 დეკემბრიდან 10 დეკემბრის ჩათვლით;

5. პროფესიული მომზადების პროგრამებზე უფლებამოპოვებულ პირთა ჩარიცხვა და პროფესიული მომზადების/გადამზადების ელექტრონულ პორტალზე ასახვა განხორციელდეს არაუგვიანეს 2021 წლის 11 დეკემბრისა;

6. პროფესიული მომზადების პროგრამებზე სწავლა დაიწყოს 2021 წლის 13 დეკემბერს;

7. კანცელარიამ (ე. ცირეკიძე) და მარკეტინგის, პროექტებისა და ღონისძიებების მართვის სამსახურმა (თ. ვალიშვილი) უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ვებგვერდზე

საფუძველი: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 10.04.2019 წლის №71/ნ ბრძანება "პროფესიული მომზადების პროგრამაზე და პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" ; განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 22.11.2021 წლის №1254619, 1254593, 1254675 ბრძანებები.

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
რექტორი როლანდ კოპალიანი

პროფესიული და უწყვეტი განათლების ცენტრის
ხელმძღვანელი სერგო სვანაძე